საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1252

19/08/2021

ქ. თბილისი

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ჯეუ გრუპზე“ გადაცემის შესახებ

2021 წლის 23 ივლისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპისა“ და შპს „ჯეუ გრუპის“ დირექტორებმა. შპს „კომპანია ბლექ სი გრუპმა“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ჯეუ გრუპზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

2016 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე (ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია) გაიცა №56 (16.11.2016) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2019 წლის 21 ივნისს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-579 ბრძანება „შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“. არსებული დანადგარის სხვა დანადგარით ჩანაცვლების მიზნით, 2019 წლის 9 აგვისტოს გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-766 ბრძანება „ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომში შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტ-ბეტონის ქარხანაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ივნისის

№2-579 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „ჯეუ გრუპს“;

2. შპს „ჯეუ გრუპმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ივნისის №2-579 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა და „ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომში შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 9 აგვისტოს №2-766 ბრძანებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ჯეუ გრუპსა“ და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეუ გრუპისა“ და შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე- 12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი